განკარგულება:**გ-49. 492602816**
თარიღი:**28/01/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიში 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა

და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2025 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური წარმართავს საქმიანობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის შემდგომი განვითარებისათვის.

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით 2025 წელს კულტურული, ახალგაზრდული და სპორტული პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები:

- **1 იანვარს** საკონცერტო დარბაზ „ივერიაში“ გაიმართა, საახალწლო მიუზიკლი ,,ნაძვის ხის სათამაშოების თავგადასავალი“, მიუზიკლში მონაწილე ბავშვებს დაურიგდათ საახალწლო საჩუქრები.
- **3 მარტს** დედის დღე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპული გმირების ოჯახებს მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.
- **4 მარტს** ჩვენი სამსახურის ორგანიზებით სოფელ მაღლაკის კულტურის სახლში ,,აზდაკის ბაღის" ინტეგრირებულმა თეატრმა ნოდარ დუმბაძის "HELLADOS"-ის მიხედვით დადგმული სპექტაკლი წარმოადგინა. ინტეგრირებული თეატრის "აზდაკის ბაღის" წარმოდგენაზე ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინკლუზიური ცენტრის აღსაზრდელებიც იყვენენ მიწვეული.
- **7 მარტს** ქალთა საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ჩვენი სამსახურის ორგანიზებით მოეწყო შეხვედრა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთვების სამსახურში მომუშავე ქალბატონებთან და მათ სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.
- **8 მარტს** ქალთა საერთაშორისო დღეს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრებმა წყალტუბოელ ქალბატონებს ქალთა დღე მიულოცეს და ყვავილები გადასცეს.
- **21 მარტს** დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს, წყალტუბოში ტრადიციულად, ა(ა)იპ „წყალტუბოს ინკლუზიურ ცენტრში“ აღინიშნა. ცენტრის ბენეფიციარებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.
- **22 მარტს** წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სასტუმრო "პრომეთეს" საკონფერენციო დარბაზში (ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ეკოლოგიის წრის წევრებმა და საჯარო სკოლების მოსწავლეებმა წყალტუბოს შესახებ საინტერესო შემეცნებითი პრეზენტაციები წარადგინეს. კონფერენციის მონაწილეებმა, ასევე, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში, წყლის სატუმბ-საშენი ობიექტი დაათვალიერეს.

- **22 მარტს** ქ. სამტრედიაში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ჩატარდა რეგიონალური ტურნირი - ფრენბურთში.
- **27 მარტს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში მოეწყო შეხვედრა სოფელ ახალი საყულიას საჯარო სკოლის მე-11 კლასის წარმატებული მოსწავლესთან ნანა გულბიანთან, რომელიც ევროპის ჩემპიონია და წარმატებულ ძიუდოისტია. წყალტუბოელმა სპორტსმენმა ახლახან ანტალიაში გამართულ კადეტთა ევროპის თასის ფინალში თურქი მეტოქე დაამარცხა. ევროპის ჩემპიონს ევროპის ჩემპიონს მადლობის დიპლომი და ფულადი ჯილდოც გადაეცა.
- **27 მარტს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტში იმერეთის რეგიონული სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებშ ჩატარდა რეგიონალური ტურნირი ხელბურთში. იმერეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლის დაწესებულებებს შორის (გოგონები და ვაჟები).
- **1989 წლის 9** აპრილის ტრაგედიიდან 36 წელი შესრულდა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და მათ ხსოვნას პატივი მიაგეს. შესრულდა ეროვნული გმირების სულების მოსახსენებელი პანაშვიდი.
- **14 აპრილს,** წყალტუბოში დედა ენის დღე აღინიშნა.
  ამ თარიღთან დაკავშირებით გაიმართა კონფერენცია და წყალტუბოს სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა თემატური ნამუშევრების გამოფენა.

  შეხვედრაზე ახალგაზრდებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები ქართული ენის წარმოშობის, ენის სიწმინდის დაცვის, დიალექტების, დამწერლობის, წარმოშობით წყალტუბოელი ქართველი ენათმეცნიერების - გიორგი ახვლედიანისა და შალვა ნუცუბიძის ღვაწლის შესახებ, ისაუბრეს ცნობილი მწერლების - ოტია იოსელიანისა და ნიკო ლორთქიფანიძის სამწერლო ენაზე.

  პრეზენტაციები წარმოადგინეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა.

  ღონისძიების მეორე ნაწილი ქართული ენის კალიგრაფიას მიეძღვნა. ჩატარდა კალიგრაფიის მასტერკლასი.

- **9 მაისს** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა - ფაშიზმზე გამარჯვების 80-ე წლისთავთან დაკავშირებით, გვირგვინებით შეამკეს გმირთა მემორიალი და პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას.
- **14 მაისს** წყალტუბოში, „თამარობის“ სახალხო დღესასწაული აღინიშნა.
  გეგუთის ციხე -დარბაზის ტერიტორიაზე მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების ნამუშევრების გამოფენა, სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა შექმნეს თემატური ნახატები, მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლებმა სხვადასხვა სახის აქტივობები გამართეს, თამარ მეფის სახელობის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და კულტურის ცენტრმა თეატრალიზებული კომპოზიცია

,,თამარს ვაქებდით მეფესა“ წარმოადგინეს. დღესასწაულის დასკვნით ნაწილში ჯგუფ ,,ურსას“ კონცერტი გაიმართა.

- **16 მაისს** წყალტუბოში საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა ღონისძიება ,,ბოლო ზარი 2025“ გაიმართა, რომელშიც 10 საჯარო სკოლის 200 -ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები მაყურებელთა წინაშე ინდივიდუალური საკონცერტო ნომრებით წარდგნენ. საღამოს მეორე ნაწილი მუსიკალური ჯგუფის ,,ელის ბენდის"კონცერტს დაეთმო.
  ,,ბოლო ზარი 2025″ დიჯეი დავიდ სივამ დაასრულა.
- **26 მაისს** საქართველოს დამოუკიდებლობის დღე საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნება წყალტუბოში.
  - ✓ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.
  - ✓ ახალგაზრდებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია ,,მე ქართველი ვარ.“
  - ✓ მოეწყო თემატური გამოფენა.
  - ✓ ჩატარდა მკლავჭიდის ტურნირი სხვადასხვა წონით კატეგორიებში, გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები. ჩატარდა ასევე ჭადრაკის და სამოყვერულო ნარდის ტურნირი. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.
  - ✓ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა საზეიმო კონცერტით დასრულდა.
    მაყურებლის წინაშე წყალტუბოს ფოლკლორულ-ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ივერია“ და „ნადური“ წარდგნენ.
- **7 ივნისს** წყალტუბოში ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ტურნირი წარმატებით დასრულდა. წყალტუბოს სპორტის სასახლემ ორი დღის განმავლობაში უმასპინძლა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამართულ ტურნირს, რომელიც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, კედირი ჯიმშელეიშვილისა და ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭიდავის, დავით აფხაძის ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა 200-მდე ახალგაზრდა სპორტსმენმა მიიღო. შეჯიბრება 19 წონით კატეგორიაში ჩატარდა, ხოლო საპრიზო ადგილებზე გასული 80 მოჭიდავე მედლებითა და თასებით დაჯილდოვდა.
- **15-16-17 ივლისს** - ჩატარდა წარმატებული მწვრთნელის - ზურაბ ბადირეიშვილის სახელობის კალათბურთის ტურნირი. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის 8 საკალათბურთო გუნდმა.
- **16 ივნისი** ცნობილი ქართველი მწერლის, თანამედროვე კლასიკოსის, ოტია იოსელიანის დაბადების დღეა.
  მწერლის 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით, წყალტუბოში, ოტია იოსელიანის სახლ-მუზეუმში ოტია იოსელიანის მეგობრები, ახალგაზრდები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

მწერლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, წყალტუბოს საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა წარადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია - „ენა კალთას დაგაფარებს, დედაენა გისამშობლებს“.

ასევე, საკონცერტო დარბაზ „ივერიის სცენაზე“ გაიმართა მსახიობ შალვა აბაშიძის სპექტაკლი „სიშორით სიახლოვე“.

- **16-17 აგვისტოს** წყალტუბოში ინტელექტუალური თამაშების - რა? სად? როდის? ფესტივალი გაიმართა. ინტელექტუალურ თამაშებში საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან 200-ამდე ახალგაზრდა მონაწილეობდა.
- **15-21 ივლისს** - საფეხბურთო კლუბ სამგურალის წარმატებული ყოფილი მეკარის, მწვრთნელის - ნოდარ კოხრეიძისა და სპორტის სფეროში წარმატებული მოღვაწის - სულიკო ნიქაბაძის სახელობის მინი ფეხბურთის სამოყვარულო ტურნირი ჩატარდა, სადაც მონაწილეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფეხბურთის მოყვარული გუნდები.
- **5 აგვისტოს** წყალტუბოში მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს საზაფხულო ბანაკი გაიხსნა.

  ბანაკის მიზანია ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ლიდერის უნარ-ჩვევების განვითარება, ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელებაში ახალგაზრდების ჩართვა.საბანაკე პროგრამა 5 დღის განმავლობაში გაგრძელდა
- **8 აგვისტო** - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის 17 წლისთავთან დაკავშირებით, წყალტუბოში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და საზოგადოების წევრებმა პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას.
- **15 აგვისტო** - წყალტუბოში ,,ახალგაზრდული ფესტივალი'' მოეწყო, რომლის ფარგლებში სხვადასხვა საინტერესო და სახალისო აქტივობები ჩატარდა.
- **3 სექტემბერს** ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე პედაგოგებს შეხვდა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა, შეხვედრის დასრულების შემდეგ კომპოზიტორ ზაზა კილასონიას კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა
- **27 სექტემბერი** - სოხუმის დაცემიდან 32 წელი გავიდა, საქართველოს უახლესი ისტორიის ამ ტრაგიკულ თარიღთან დაკავშირებით წყალტუბოში, დიდების მემორიალთან პატივი მიაგეს აფხაზეთის ომის გმირებს.
- **18-19 და 25 ოქტომბერს** წყალტუბოში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „შემოდგომის წყალტუბო“ მრავალფეროვანი და მასშტაბური ღონისძიებებით აღინიშნება.

  18 ოქტომბერი:

  - ✓ სახალხო დღესასწაულის ფარგლებში ნიკო ლორთქიფანიძის სახლ -მუზეუმის ეზოში გაიმართა თეატრალიზებული სანახაობა, მოეწყო საგამოფენო სივრცეები, გაიმართა ფოლკლორული კონცერტი, იმერულ ფაცხებში სოფლის ნობათი და ტკბილეული

იქნა წარმოდგენილი, მოწვეულმა სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს ღვინის დაწურვასა და ჩურჩხელების დამზადებაში.

- ✓ სახალხო დღესასწაულის „შემოდგომის წყალტუბო 2025-ის" ფარგლებში, ქალაქის ცენტრალურ პარკში წყალტუბოს მეგობარი ქალაქების რუკა გაიხსნა.

19 ოქტომბერს სახალხო დღესასწაულის „შემოდგომის წყალტუბოს" ფარგლებში მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებები მიმდინარეობდა:.

- ✓ მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღევლინა;
- ✓ მოეწყო საგანგებო სიტუაციებისა და სამხედრო აღჭურვილობის საჩვენებელი სივრცეები;
- ✓ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟები გააცოცხლეს;
- ✓ გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენები, მოეწყო ახალგაზრდული და ტურისტული სივრცეები, გამოფენები;
- ✓ საჯარო და კერძო სკოლების ჩართულობით მოეწყო მსველელობა „ყვავილების ფერხული“;
- ✓ ადგილობრივი ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა საბავშო კონცერტი;

სახალხო დღესასწაულის „შემოდგომის წყალტუბო"-ს ფარგლებში გაიმართა წყალტუბოს საპატიო მოქალაქეების და ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება, ჩატარდა გალა კონცერტი და ღონისძიება დასრულდა ფოიერვერკით და DJ პროგრამით.

- **25 ოქტომბერს** წყალტუბოს საკონცერტო დარბაზ „ივერიაში“ სახალხო დღესასწაულის - „შემოდგომის წყალტუბოს“ დასკვნითი ღონისძიება - ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული კონცერტი ჩატარდა.
  კონცერტში ადგილობრივი ქორეოგრაფიული სტუდიები და ანსამბლები მონაწილეობდნენ.
- **19-20 ნოემბერს** ქ. წყატუბოს სპორტის სასახლეში ჩატარდა წარმატებული სპორტსმენისა და დამსახურებული მწვრთნელის - როინ მეტრეველის სახელობის ხელბურთის საერთაშორისო ტურნირი (ვაჟები/გოგონები).
- **3 დეკემბერს** - ჩატარდა ზაურ ტეხოვის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო სკოლებს შორის (2010-2011-2012 წ.წ. დაბადებული ვაჟები).
- **19 დეკემბერს** - წყალტუბოში საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე. თოვლის ბაბუამ ბავშვებთან ერთად საზეიმოდ აანთო საახალწლო ნაძვის ხე. კონცერტი „მრავალჟამიერით“ გახსნა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნადურმა“. საახალწლო ღონისძიება ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტით გაგრძელდა და დასრულდა ფეიერვერკით.
- **22 დეკემბერს** - წყალტუბოში საკონცერტო დარბაზ „ივერიის'' მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის ინიციატივით საახალწლო ღონისძიება

გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში გაიხსნა „საახალწლო, სოფელი“, სადაც გაიმართა სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები ბავშვებისათვის. სპეციალურად შექმნილ სახლებში მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ჩატარდა ცეცხლოანი შოუ, ღონისძიება გაგრძელდა შოუ პროგრამით. კონცერტი გვიან ღამემდე გაგრძელდა და ფეიერვერკით დასრულდა.

- **23 დეკემბერს** - საახალწლო სოფელში ინდირა ჯგერნაიას საესტრადო სტუდია „ინდოსტუდია“-ს კონცერტი გაიმართა.
- **24 დეკემბერს - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა** წყალტუბოს ინკლუზიური ცენტრისა და სარეაბილიტაციო დღის ცენტრ ,,ჩვენი სახლის" აღსაზრდელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და ტკბილეულის საახალწლო საჩუქრები გადასცეს.
- **28 დეკემბერს** - საახალწლო სოფელში საჯარო სკოლების ერთობლივი საახალწლო ღონისძიება გაიმართა.

  ღონისძიების ფარგლებში საახალწლო ქოხებში მოეწყო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული საახალწლო კერძები, ტკბილეული და ხელით შექმნილი ნამუშევრები.

  ახალი წლის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 16-მა საჯარო სკოლამ. მოსწავლეებმა სცენაზე საზეიმო საკონცერტო ნომრები შეასრულეს.

  ღონისძიებაში ჩართულნი იყვნენ მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრები, მათ მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი ნაწარმიდან შემოსული თანხები, საქველმოქმედო საქმიანობას მოხმარდა.

  ღონისძიება DJ გიგა პაპასკირის კომპოზიციებით დასრულდა.
- **29 დეკემბერს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა 2025 წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები დააჯილდოვა.
- **31 დეკემბერს** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა 24 საათიან რეჟიმში მომუშავე უწყებებისა და სამსახურების წარმომადგენლებს ახალი წლის დღესასწაული მიულოცა და საახალწლო კალათები გადასცა.
- წლის განმავლობაში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ჩატარდა კალათბურთის 3X3, მძლეოსნობის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, მინი ფეხბურთის, ხელბურთის ტურნირები, სადაც მონაწილეობა მიიღო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა (ვაჟები და გოგონები).

კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით შესყიდული იქნა საბავშვო საახალწლო ტკბილეული, რომელებიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ გადასცა: ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის და დღის ცენტრ ,,ჩვენი სახლის'' აღსაზრდელებს, ასევე საახალწლო საჩუქრები გადაეცათ მაღალმთიანი სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს.

ტურნირებში საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებითა და დიპლომებით.